

„სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფორმირების წესი

„სამოქალაქო ბიუჯეტი“ არის პროცესი, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინების საშუალებას იძლევა. პროექტისთვის მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფს თანხებს, რომლის ხარჯვის ინიციატივასაც წარდგენილი პროექტის შესაბამისად სთავაზობს ადგილობრივი მოსახლეობა.

მარნეულის მუნიციპალიტეტი იყოფა ექვს ზონად:

I – ზონა

1. ქ.მარნეული;
2. ყიზილ-აჯლო;

II – ზონა

1. ყულარი (ზემო ყულარი, კირიხლო, ქვემო ყულარი, ყულარი, წითელი სოფელი, მარადისი, ბუდიონოვკა, დამტაფა)
2. წერეთელი (წერეთელი, საიმერლო, დიდი ბეგლიარი, პატარა ბეგლიარი, ნორგიული)
3. თამარისი (თამარისი, ახალი დიოკნისი, ალაგარი,)

III– ზონა

1. ალგეთი (ალგეთი, საბირქენდი, თაზაქენდი, აზიზკენდი, გაჯისაკენდი)
2. ქუთლიარი (მუდანლო, ქუთლიარი, ბაიდარი, ლეჟბადინი, ხუტორ ლეჟბადინი, დოლის ყანა)
3. კაპანახჩი (ამბაროვკა, ქეშალო, ილმაზლო, პირველი ქესალო, მეორე ქესალო, კაპანახჩი, ალგეთი ღვინის ქარხანა)

IV – ზონა

1. შულავერი (არაფლო, ახლომახმუდლო, ენიკენდი, სეითიგაჯლო, ზემო სარალი, ქვემო სარალი, მარეთი, შულავერი, იმირი)
2. კასუმლო (კასუმლო, აღმამედლო, ულაშლო, ბეითარაფჩი, კუმჩუ, ბაითალო)
3. კაჩაგანი (კაჩაგანი, თაქალო, ხანჯიგაზლო, კირაჩმულანლო)

V– ზონა

1. წერაქვი (წერაქვი, სიონი, ჯნახოში)
2. შაუმიანი (შაუმიანი, ხიხანი, ახკულა, ყუდრო)
3. დამია-გეურარხი (დამია-გეურარხი, ახლო-ლალო, კიროვკა, დამია)

VI - ზონა

1. სადახლო (სადახლო, სადგ.სადახლო, ხულდარა, მოლა-ოლლი, ბურმა)
 2. ხოჯორნი (ხოჯორნი, გიულბადი, ბრდაზორი, ცოფი)
 3. ოფრეთი (ოფრეთი, ხოხმელი)
 4. ახკერპი (ახკერპი, ჩანახჩი, ულიანოვკა)
- ❖ 2017 წლისათვის „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროექტის ღირებულება განისაზღვრება 1500000.00 (ერთი მილიონ ხუთასიათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ზონისათვის ჯამში 250000.00 (ორასორმოცდა

ათი ათასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული 250000.00 ლარიდან 200000.00-ით დაფინანსდება ერთ დიდი პროექტი თითო ზონაზე, ხოლო დარჩენილი 50000.00 ლარით განხორციელდება 5 პატარა პროექტი. ბიუჯეტის საბოლოო განსაზღვრის ეტაპზე, წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია ინიციატივის ავტორთან შეთანხმებით განხორციელდეს თანხის რაოდენობის ცვლილება, ამ პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში.

❖ მოქალაქეთა კოორდინაციისა და ინფორმირებულობისათვის, თითო ზონისათვის გამოიყოფა ერთი კოორდინატორი, რომელიც მუნიციპალიტეტთან ურთიერთკოორდინაციით განხორციელებს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საქმიანობას, კერძოდ: კოორდინატორები იქნებიან ადმიანები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- იცნობს ადგილობრივ საჭიროებებს და გაუწევს შესაბამის კონსულტაციასაც;

კოორდინატორი აკომპლექტებს „წარმომადგენლობით საბჭო“-ს, რომელიც უნდა შეიქმნას თითოეულ ზონაში შემავალი სოფლებიდან, ამავე სოფლის მცხოვრებთა მიერ შერჩეული 1 აქტიური მოქალაქისაგან. „წარმომადგენლობით საბჭო“ იქნება მუდმივმოქმედი ჯგუფი პროექტის მიმდინარეობის პერიოდში. რომლის ფუნქციას წარმოადგენს დაეხმაროს ლოკალურ კოორდინატორს და არასამთავრობო ორგანიზაციას, მოსახლეობის ინფორმირებაში, რეკომენდაციების გაწევას, პროექტის განაცხადის შევსებასა და პროექტის საბოლოო შერჩევა/ანალიზში, როდესაც საბჭოს წევრი კენჭისყრისას სარგებლობს ერთი ხმის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კენჭი ეყრება მისი სოფლიდან (დასახლებიდან) წარმოდგენილ პროექტს, რა დროსაც მას ხმის მიცემის უფლება შეზღუდული აქვს.

❖ „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროექტში მონაწილეობის უფლება აქვს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქმედუნარიან 16 წლის ასაკს მიღწეულ მოქალაქეს შესაბამისი მეურვის თანხმობით, ხოლო 18 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქე მსგავს თანხმობას არ საჭიროებს.

❖ მოქალაქეს შეუძლია წარმოადგინოს ისეთი პროექტები, რომელიც შედის მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის კომპეტენციაში, არ აღემატება კონკრეტული ზონისათვის გამოყოფილ თანხას და ემსახურება საზოგადოებრივ კეთილდღეობას. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სპეციალური სააპლიკაციო ფორმის მეშვეობით, რომელიც უნდა გამოიგზავნოს მუნიციპალიტეტის ელ-ფოსტის მისამართზე (municipaliteti@marneuli.gov.ge). სააპლიკაციო ფორმები ხელმისაწვდომი იქნება ლოკალურ კოორდინატორებთან და მარნეულის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.marneuli.gov.ge.

❖ პროექტების წარმოდგენის პერიოდი: 1–30 ივლისის ჩათვლით.

❖ პროექტის წარმოების წესი:

I ეტაპი:

პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე, პროექტის კოორდინატორი, რომელიც უშუალოდ ჩართულია პროცესის მიმდინარეობაში ატარებს საინფორმაციო შეხვედრას ზონების მიხედვით, თითო ზონაში არანაკლებ ერთი და აწვდის მოქალაქეებს ინფორმაციას პროექტის განხორციელების მიზნებსა და შესაძლებლობებზე.

II ეტაპი:

კოორდინატორი სააპლიკაციო ფორმის შესაბამის ველში წერს ზონალურ კოდს და რიგით ნომერს (მაგ: I / №16), აპლიკანტს ხელს აწერინებს მიღებული აპლიკაციების რეესტრში და გადასცემს რეგისტრირებული აპლიკაციის ასლს ან ბარათს, რომელზეც მითითებულია ჩაბარებული აპლიკაციის

სარეგისტრაციო ნომერი. მოქალაქე კოორდინატორის მიერ ვიზირებულ, შევსებულ სააპლიკაციო ფორმის დასკანერებულ ვერსიას საკუთარი ან კოორდინატორის ელ-ფოსტიდან აგზავნის მუნიციპალიტეტის ელ-ფოსტის მისამართზე „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფარგლებში გამოცხადებულ პროექტში მონაწილეობის მიღების მიზნით, შემდეგი სათაურით „სამოქალაქო ბიუჯეტი 2017“ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულში. გამოგზავნილი განცხადების მიღების თაობაზე დადასტურება გამოგზავნის ეგზავნება არაუგვიანეს მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

III ეტაპი:

სააპლიკაციო ფორმის მიღების შემდეგ, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი ამოწმებს წარმოდგენილი განცხადების სისწორეს, ანიჭებს შესაბამის ველში მითითებით კატეგორიას (მაგ: ინფრასტრუქტურული პროექტი ან ახალგაზრდული პროექტი ან საგანმანათლებლო, ან კულტურულ-სოციალური) და წარუდგენს გამგებელს რეკომენდაციას ინიციატივის საბჭოზე განხილვასთან დაკავშირებით, ამასთანავე უგზავნის პასუხს დაინტერესებულ სუბიექტს განცხადების მიღებაზე თანხმობის თაობაზე. გამგებლისათვის წარდგენილი საკითხი რეგისტრირდება საბჭოს დღის წესრიგში, რომელსაც განიხილავს საბჭო უახლოეს სხდომაზე.

- ❖ წარმოდგენილ პროექტებს განიხილავს ზემოთხსენებული საბჭო შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
 - სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი განახორციელოს წარმოდგენილი პროექტი);
 - ტექნიკური ასპექტები (რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება);
 - ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი სავარაუდო ღირებულების შეფასება);
 - პროექტის განხორციელების ვადები;
 - ემსახურება თუ არა პროექტის განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესს;
- ❖ წარმოდგენილი პროექტების განხილვა დასრულდება და პირველადი შედეგები ოფიციალურ საიტზე განთავსდება 20 აგვისტომდე.

IV ეტაპი:

პირველადი შედეგების შემდეგ საბჭოს მოწვევის საფუძველზე „წარმომადგენლობითი საბჭო“ ირჩევს შესაბამის პრიორიტეტულ პროექტს, რომელიც ღია კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უბრალო უმრავლესობით განსაზღვრავს შესაბამის პროექტს, ამ ეტაპზე საბჭოს წევრი კენჭისყრისას სარგებლობს ერთი ხმის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კენჭი ეყრება მისი სოფლიდან (დასახლებიდან) წარმოდგენილ პროექტს, რა დროსაც მას ხმის მიცემის უფლება შეზღუდული აქვს. გამარჯვებული პროექტები გამოცხადდება 10 სექტემბრამდე პერიოდში.

- ❖ აღსანიშნავია, რომ საპროექტო განაცხადის კორექტირება შესაძლებელია პროექტის ასევე ელექტრონული განაცხადის წარმოდგენის ფორმით, მიმდინარე წლის 30 ივლისამდე პერიოდში.
- ❖ პროექტის მსველელობა და მიმდინარეობა მუდმივად გაშუქდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდზე: www.Marneuli.gov.ge და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საინფორმაციო დაფაზე, ასევე ინფორმაცია გადაეცემათ კოორდინატორებს, რომლებიც ვალდებული იქნებიან მოახდინონ მოსახლეობის ინფორმირება პროექტის მსველეობის და შედეგების თაობაზე.



პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა
სამინისტროს საგარეო დახმარების პროგრამის ფარგლებში
პროგრამა “დემოკრატიის ხელშეწყობა”



ბილონეთის დახმარება